



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 96

2019 წლის 26 აგვისტო

ქ. თბილისი

2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის და დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

„დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 სექტემბრის N128/ნ ბრძანებით დამტკიცებული დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების წესი და პირობების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის, მე-9 მუხლის მე-5 პუნქტის, „2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 მაისის N60 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N1085893; 26.08.2019) შესაბამისად,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს 2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების საგრანტო კონკურსში რეგისტრირებული პროექტების საბოლოო ქულის გამოთვლის და დაფინანსების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ზვიად გაბისონია


შემსრულებელი:

ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი


-----  ----- /თამარ აზარიაშვილი/

შეთანხმებულია:

1. ადმინისტრაციული და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ეკატერინე ბუთლიაშვილი/

2. სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი

-----  ----- /ქეთევან გაბიტაშვილი/

001362

2019 წლის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების დაფინანსების კონკურსში
რეგისტრირებული პროექტებისათვის საბოლოო ქულის გამოთვლის და დაფინანსების
წესი

§ 1. პროექტის საბოლოო ქულის გამოთვლის წესი

1. კონკურსში მონაწილე პროექტები ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის ბრძანება № 128/ნ -ის მე-10 მუხლით განსაზღვრული პროექტის შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.
2. პროექტის საბოლოო ქულას განსაზღვრავს დამოუკიდებელ ექსპერტთა ჯგუფი.

§ 2. საუკეთესო პროექტების განსაზღვრის წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

1. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის პირველ ეტაპზე თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1, 2, ..., 7, გამოითვლება იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც 9- ზე მეტია ან ტოლია და შესაბამისად აღინიშნება q_1, q_2, \dots, q_7 -ით.
2. საუკეთესო პროექტების განსაზღვრისათვის მეორე ეტაპზე გამოითვლება თითოეული სამეცნიერო მიმართულებისათვის 1, 2, ..., 7, იმ პროექტების ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომლებიც მეტია ან ტოლია შესაბამისად q_1, q_2, \dots, q_7 - ზე და აღინიშნება შესაბამისად n_1, n_2, \dots, n_7 - ით.
3. n_1, n_2, \dots, n_7 არის შესაბამისად 1, 2, ..., 7 სამეცნიერო მიმართულებების ქვედა ზღვარი
4. პროექტებს, რომელთა შეფასებაც მეტია ან ტოლია შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების ქვედა ზღვარზე, ეწოდებათ საუკეთესო პროექტები.

§ 3. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო მიმართულებების მიხედვით.

1-6 სამეცნიერო მიმართულებებისათვის განსაზღვრული ჯამური ბიუჯეტი B_{1-6} შეადგენს კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის 90%-ს.

მე - 7 სამეცნიერო მიმართულებისთვის (საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებები) განსაზღვრული ბიუჯეტი B_7 შეადგენს კონკურსისათვის გამოყოფილი ბიუჯეტის 10%-ს.

§ 4. კონკურსის ბიუჯეტის განაწილების წესი სამეცნიერო ქვე-მიმართულებების მიხედვით.

თითოეული სამეცნიერო ქვემიმართულებიდან განიხილება საუკეთესო პროექტები - პროექტები, რომელთა ქულაც მეტია ან ტოლია შესაბამისი მიმართულების ქვედა ზღვარზე. (იხ. § 2-ის 1-4 პუნქტები)